გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელო ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის

Guidelines for TEE Module-Writers for Gender and Social Inclusion 1

შესავალი 2

ქალები, უმცირესობები, სოციალურად დაუცველი სტუდენტები STEM საგნებში 3

მონაწილეობა STEM განათლებაში: 3

დაბრკოლებები STEM განათლებაში 4

რა შეიძლება გაკეთდეს? 6

რჩევები მოდულების ავტორებისთვის 8

სასწავლო მასალები 8

გაკვეთილი 11

School environment and guidelines for principals 14

შესავალი

არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ქართულ საზოგადოებაში ღრმა უთანასწორობები არსებობს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფს შორის. ქალები და გოგონები, ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში), რელიგიური უმცირესობები, მთის მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა ჯგუფები სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას განიცდიან და თანასწორად არ მიუწვდებათ ხელი რესურსებსა და შესაძლებლობებზე.

ზოგადი განათლების სისტემა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარების საფუძველი უზრუნველყოს თანასწორად ყველა მოქალაქისათვის, მათი ოჯახის რესურსების, გენდერის, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად, ხშირად ვერ ასრულებს ამ მისიას და, მეტიც, ხელს უწყობს იმ მექანიზმების კვლავწარმოებას და განმტკიცებას, რომლებიც უთანასწორობის მიზეზია. მართალია, უთანასწორობის განმსაზღვრელი ბევრი სხვადასხვა სისტემური და სტრუქტურული ფაქტორი არსებობს, მაგრამ მისი ზოგიერთი ასპექტის დაძლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემის გარდაქმნას, კერძოდ, ძალისხმევას საიმისოდ, რომ შეიცვალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრატორთა ის დამოკიდებულებები, რწმენები და პრაქტიკა, რომლებიც უთანასწორობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორისაა. ასეთი ცვლილებების გამოწვევა ნაწილობრივ დამოკიდებულია მოქმედი მასწავლებლებისა და ადმინისტრატორებისთვის კარგად შედგენილი ტრენინგების შეთავაზებაზე.

მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია შრომითი კაპიტალის დაბალი კვალიფიკაცია ზოგადად და, კერძოდ, პროფესიონალი ტექნიკოსებისა და STEM სპეციალისტების (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ტექნოლოგიები, საინჟინრო საქმე, მათემატიკა) ნაკლებობა.

ამავე დროს, STEM განათლება და STEM პროფესიები იმ სფეროს შეადგენს, რომელშიც განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოკვეთილი უთანასწორობები განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმების შესაძლებლობებში. ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ტრენინგების პროგრამა, რომელიც მიმართულია STEM საგნებისა და ინგლისური ენის სწავლების და სკოლების მართვის გაუმჯობესებაზე, მოიცავდეს კონკრეტულ ზომებს ამ სფეროებში არსებული უთანასწორობების გადალახვისთვის.

გენდერის მიხედვით სხვაობა ხელფასში

- ქალები გამოიმუშავებენ დაახლოებით 40%-თ ნაკლებს, ვიდრე კაცები ანალოგიურ სამუშაოსთვის (გეოსტატი 2014).
- **ჰორიზონტალური სეგრეგაცია**: ქალები და კაცები გადანაწილებულები არიან სხვადასხვა პროფესიებში და პროფესიები, რომლებიც „ქალურად“ მიიჩნევა, როგორც წესი, უფრო დაბალანაზღაურებადია, ვიდრე ტიპურად “მამაკაცურად მიჩნეული პროფესიები (მაგალითად, ექთანი და ექიმი).
- **ვერტიკალური სეგრეგაცია:** დასაქმების ერთსა და იმავე სფეროშიც კი, ქალებს უფრო დაბალი თანამდებობები უკავია, ვიდრე კაცებს: ბევრად მეტი კაცია დირექტორებს, მენეჯერებსა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს შორის.

განათლების სფერო: 2013-2015 წლებში კაცების საშუალო ხელფასი შეადგენდა 550 ლარს, ხოლო ქალებისა - 428.5 ლარს (აქ განსხვავება 22%-ზე ნაკლებია, - უკეთესი,

ვიდრე საერთო სურათი - მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია) *გეოსტატი, 2014*

ქალები, უმცირესობები, სოციალურად დაუცველი სტუდენტები STEM საგნებში

მონაწილეობა STEM განათლებაში:

გოგონები და ბიჭები

- უმაღლესი და პროფესიული განათლების STEM პროგრამებში გოგონების რიცხვი არაპროპორციულად დაბალია:

საბაკალავრო საფეხურის STEM პროგრამები	სამაგისტრო საფეხურის STEM პროგრამები	სადოქტორო საფეხურის STEM პროგრამები	ტექნიკური პროფესიული განათლების პროგრამები
31%	25%	42%	24%

- ნაკლები გოგონა აბარებს გამოცდას STEM საგნებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

NB:

- *STEM სადოქტორო ხარისხების 47% ენიჭებათ ქალებს.*
- *გოგონებს, საზოგადოდ, უკეთესი შეფასებები აქვთ, ვიდრე ბიჭებს ყველა STEM საგანში სკოლაშიც და ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც.*

ეროვნული უმცირესობები

- სკოლის გამოსაშვები გამოცდები (CAT): ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს უფრო დაბალი საშუალო ქულები აქვთ, ვიდრე სხვა სტუდენტებს ყველა STEM საგანში;

- ერთიანი ეროვნული გამოცდები: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს უფრო დაბალი საშუალო ქულები აქვთ, ვიდრე სხვა სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;

- ეროვნული უმცირესობების წილი STEM უმაღლეს საგანმანათლებლო და ტექნიკური პროფესიული განათლების პროგრამებში ძალიან დაბალია.

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში 2011 და 2012 წლებში ჩაირიცხა ეროვნული უმცირესობების 5-5 წარმომადგენელი (27 და 22 აპლიკანტიდან შესაბამისად). ტექნიკური პროფესიული განათლების პროგრამებში კი 2011 წელს ეროვნული უმცირესობების 4 წარმომადგენელი ჩაირიცხა, ხოლო 2012 წელს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლის განაცხადი არც ყოფილა. MCA კვლევა 2014

დაბალშემოსავლიანი ოჯახები

- მოსწავლეებს დაბალშემოსავლიანი ან მთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახებიდან მთელი მოსახლეობის საშუალოზე უფრო დაბალი შედეგები აქვთ ყველა STEM საგანში;

- PISA 2009 კვლევა: მოსწავლეების მიღწევები წერა-კითხვასა და მათემატიკაში მნიშვნელოვნად ცვალებადობს სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით.

დაბრკოლებები STEM განათლებაში

> მნიშვნელოვანი საბუთები არსებობს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემდეგი დასკვნისათვის: განსხვავებები კულტურული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების მიღწევებსა და დომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეების მიღწევებს შორის **<u>არ არის</u>** სწავლის უნარში განსხვავებების შედეგი. ეს განსხვავებები შედეგია იმისა, რომ ეს ახალგაზრდები სხვადასხვა ხარისხის განათლებას იღებენ სკოლებში. გარდა ამისა, წარუმატებლობის დიდი რისკი აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა სწავლის სტილიც არ შეესაბამება სწავლების ტრადიციულ მეთოდებს.“
>
> *Marietta Saravia-Shore, Everybody's Children: Diverse Teaching Strategies for Diverse Learners, 12*

გოგონები

გოგონების მიერ STEM დარგებში კარიერის არჩევას ბევრი ფაქტორი აბრკოლებს:

- მშობლები ნაკლებ ფინანსურ რესურსებს დებენ გოგონების განათლებაში, ვიდრე ვაჟებისაში;

- გაბატონებულია სტერეოტიპები გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ;

- განათლება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა ბიჭებისთვის, ვიდრე გოგონებისთვის, ამასთან, მასწავლებლის მიერაც:

> „ბევრი მასწავლებელი ფიქრობს, რომ სწავლა უფრო მნიშვნელოვანია ბიჭებისთვის, რადგან მათ ოჯახის შენახვა მოუწევთ, ხოლო გოგონები გათხოვდებიან და მათ ქმრები შეინახავენ.“
>
> *ისაკაძე და გვიანიშვილი, 20*

- მასწავლებლების მიერ გოგონების და ბიჭების მიმართ სხვადასხვაგვარი მოპყრობა: მასწავლებლები მეტად წაახალისებენ და მეტ დადებით უკუქმედებას აძლევენ ბიჭებს;

- მასწავლებლები დაბალ შეფასებას აძლევენ გოგონების უნარებს და ნიჭს და ფიქრობენ, რომ სქესი განსაზღვრავს სხვადასხვაგვარ მიდრეკილებას და ნიჭს სხვადასხვა დარგის მიმართ (სკოლაში გოგონების უკეთესი ნიშნების მიუხედავად):

> „გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ სქესი განსაზღვრავს განსხვავებებს სხვადასხვა საგნის მიმართ მიდრეკილებასა და ნიჭში; სახელდობრ, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ გოგონები ოდნავ სჯობნიან ბიჭებს ჰუმანიტარულ საგნებში, ხოლო ბიჭები სჯობნიან გოგონებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში“
>
> *ბერეკაშვილი, გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები, ii*

- მასწავლებლებს ნაკლები მოლოდინი აქვთ გოგონების მიმართ და ზღუდავენ მათ სტერეოტიპული „ქალური“ როლებით.

- მასწავლებლები იზიარებენ გენდერული როლების შესახებ ბევრ სტერეოტიპს, მოქმედებენ მათ მიხედვით და ხელს უწყობენ მათ რეპროდუქციას:

„მასწავლებლები სხვადასხვა ტიპის დავალებებს აძლევენ ბიჭებს და გოგონებს, მაგალითად, საგნების გადაადგილებას ავალებენ ბიჭებს, ხოლო დასუფთავებას - გოგონებს.“ *ისაკაძე და გვიანიშვილი*, 27

- სახელმძღვანელოები მიკერძოებულია: მათში ძირითადად წარმოდგენილია მამაკაცების სახეები, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ისტორიულად მნიშვნელოვანი ქალების შესახებ, ბევრია გენდერული სტერეოტიპი, ქალების უფლებებისა და გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის ისტორია არ არის წარმოდგენილი.

- გოგონები დაბალ შეფასებას აძლევენ STEM საგნებში საკუთარ მიღწევებს ბიჭებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ მნიშვნელოვნად უკეთესი მიღწევები აქვთ.

აღქმები რეალობის პირისპირ:	
STEM საგნებში გოგონების და ბიჭების მიდრეკილებების შესახებ გავრცელებული რწმენები და სტერეოტიპები	**გოგონების რეალური მიღწევები STEM საგნებში სკოლაში**
• მასწავლებლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბიჭებს მეტად ეხერხებათ „ტექნიკური“ საგნები; • თვითონ გოგონები ფიქრობენ, რომ არ ეხერხებათ STEM საგნები • მშობლები ფიქრობენ, რომ მათ გოგონებს ისე არ ეხერხებათ STEM საგნები, როგორც მათ ვაჟებს	• სკოლის შეფასებები: გოგონები საზოგადოდ ბიჭებზე უკეთესად სწავლობენ სკოლაში ყველა STEM საგანს; • 2011 წლის TIMSS შეფასება (მე-8 კლასი): გოგონები რამდენიმე ქულით სჯობნიან ბიჭებს ყველა საგანში, გარდა ფიზიკისა, რომელშიც ბიჭები 2 ქულით სჯობნიან მათ; • CAT: გოგონებს ბიჭებზე უკეთესი შეფასებები აქვთ ყველა STEM საგანში - როგორც საშუალო ქულების, ისე უმაღლესი ქულის მიმღებთა შორის პროცენტის თვალსაზრისით; • ერთიანი ეროვნული გამოცდები: გოგონები ბიჭებზე ოდნავ უკეთეს შეფასებებს იღებენ ყველა STEM საგანში გარდა მათემატიკისა, რომელშიც ისინი მნიშვნელოვნად უკეთეს შეფასებებს იღებენ; • მათემატიკის შეფასება მე-9 კლასი: გოგონების შედეგები თანმიმდევრულად უკეთესია ბიჭებისაზე მაშინაც, როცა ყველა სხვა ცვლადი კონტროლდება.

ეროვნული უმცირესობები

- ეროვნული უმცირესობების მასწავლებლებს სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ტრენინგების გავლის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ;

- სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები არ არის ხელმისაწვდომი ან დაბალი ხარისხისაა;

- რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციას რელიგიის საფუძველზე.

დაბალშემოსავლიანი ოჯახები

- პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს ნაკლებობა;
- მოსწავლეები დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან (განსაკუთრებით ბიჭები) STEM საგნებს აღიქვამენ, როგორც ძნელს.
- სკოლის მასწავლებლებმა არ იციან, თუ კლასში ჰყავთ მოსწავლე დაბალშემოსავლიანი ოჯახიდან;
- სკოლის მასწავლებლებმა ვერ აცნობიერებენ, განსხვავდება თუ არა როგორმე დაბალშემოსავლიანი ოჯახიდან მოსწავლეების სწავლება;
- ბევრ სკოლაში მასწავლებლები ჯერ კიდევ აჯგუფებენ სტუდენტებს აღქმული უნარების მიხედვით;
- სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან ადეკვატური რჩევითა და ხელმძღვანელობით კარიერის დაგეგმვაში.

სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები

- ჩვეულებრივ მასწავლებლებს (სპეციალურ მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებთან შედარებით) უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მიმართ; ეს უარყოფითი დამოკიდებულება ცვალებადობს მოსწავლის შეზღუდული შესაძლებლობის ფორმისა და სიმძიმის მიხედვით.
- ჩვეულებრივი მასწავლებლების დამოკიდებულება და ქცევა (მაგალითად, ხშირად მასწავლებლები ასეთ მოსწავლეებს უწოდებენ "ინკლუზიურ ბავშვებს") ხელს უწყობს სპეციალური საჭიროებების სტიგმატიზებას.
- ჩვეულებრივი მასწავლებლები თავს არიდებენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან ინტენსიურად მუშაობას (რაც ნაწილობრივ მათ მიერ შესაბამისი ცოდნისა და მომზადების არქონით აიხსნება);
- ჩვეულებრივი მასწავლებლები არ ითვალისწინებენ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესებს, როცა გეგმავენ სასწავლო აქტივობებს, მაგალითად, საველე გასვლას ან ლაბორატორიულ მუშაობას და სხვ.

რა შეიძლება გაკეთდეს?

სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორების დამოკიდებულებებს და ქცევას უდიდესი გავლენა აქვს მათი სტუდენტების მიღწევაზე, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისა, რომლებიც ამა თუ იმ სახით სხვებზე ნაკლებად პრივილეგირებულები არიან, მაგალითად, ოჯახის მწირი რესურსების გამო, ან სქესის გამო, რადგან სხვადასხვა გენდერული ნორმისა და სტერეოტიპის გავლენის ქვეშ არიან ოჯახში

თუ მთელ საზოგადოებაში.

- ერთი მხრივ, სკოლის მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა მიკერძოებული და სტერეოტიპული ქცევა, გენდერისა მიმართ მათი სიბრმავე, ან სოციალური განსხვავებების მიმართ მათი უგრძნობლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს არსებული უთანასწორობების შენარჩუნებას და გაძლიერებასაც;

- მეორე მხრივ, თავიანთი მგრძნობელობით და აქტიური ჩარევით, სწავლების ადეკვატური სტრატეგიების გამოყენებით, სკოლის მასწავლებლებს და ადმინისტრატორებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ მეტი თანასწორობისკენ სვლაში, იმ სტერეოტიპების, ფარული კურიკულუმის, უთანასწორობის სტრუქტურული და სისტემური მიზეზების ზემოქმედების განიტრალებაში, რომლებიც მოსწავლეებს განათლების ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

„მასწავლებლებს აქვთ პოტენციალი, წინ აღუდგნენ ქცევის სტერეოტიპულ მოდელებს, შეცვალონ მოსწავლეების გენდერული მოლოდინები, შექმნან თანასწორი სასწავლო პროგრამა და სკოლები გარდაქმნან სტუდენტებისათვის უფრო სამართლიან სასწავლო გარემოდ.“

Deshmukh Towery, Fostering Gender Equity in Schools (2007)

„მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკლასო კონტექსტთან დაკავშირებული ფაქტორები, რომელთაგან მნიშვნელოვან როლს **მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიები** ასრულებს. კერძოდ, მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხარდაჭერას და, ზოგადად, უფრო პოზიტიურად აღიქვამენ საკუთარ მასწავლებელს, უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ თავს მათემატიკაში; მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ავტონომიის წახალისებას, მხარდაჭერას, ღირებულებებზე და არა კონტროლზე ფოკუსირებულ უკუკავშირს მნიშნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე.“

სახელმწიფო შეფასება მათემატიკაში მე-9 კლასი 2015, 96

ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგების პროგრამა შეიცავდეს კომპონენტებს შემდეგი მიზნებისთვის:

- მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, მათ გააცნობიერონ შესაძლო მიკერძოებული და უთანასწორობის გამომწვევი ასპექტები თავიანთ პრაქტიკაში; მათი წახალისება, დაიწყონ თავიან პრაქტიკაზე რეფლექსია და მისი გაუმჯობესების გზებზე ფიქრი.

- მასწავლებელთა და ადმინისტრატორთათვის კონკრეტული ინსტრუმენტების მიწოდება, კონკრეტული სტრატეგიების სწავლება, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და მითითებების მიცემა, რომელთა მეშვეობითაც ისინი თავიანთი სასკოლო პრაქტიკას მეტად ინკლუზიურს გახდიან;

- გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გენდერული და სოციალური ინკლუზიის კომპონენტები ინტეგრირებული იყოს **საგნობრივი ტრენინგების მოდულებშიც**, მათთვის სპეციალურიად მიძღვნილი ტრენინგების გვერდით.

„მართალია, „საუკეთესო პრაქტიკისა“ და „გენდერული თანასწორობის ცნობიერების“ ტრენინგები

ხელს უწყობს იმას, რომ მასწავლებლებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ გოგონების სწავლებას, ისინი მაინც მინიმალურად ზემოქმედებს გოგონების დამოკიდებულებაზე STEM საგნებთან. იგივე შეიძლება ითქვას მხოლოდ პროფესული განვითარების შესახებ, რომელიც მხოლოდ საგნობრივ კომპეტენციებს ეხება.“

Battey et al., 226

რჩევები მოდულების ავტორებისთვის

სასწავლო მასალები

სასწავლო მასალები - ტექსტები, საგამოცდო კითხვები, ვიზუალური მასალა - შეიძლება მრავალი სახით იყოს მიკერძოებული და ხელს უწყობდეს სტერეოტიპების განმტკიცებას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა:

- არ გაიმეორონ მიკერძოება და სტერეოტიპები იმ მასალაში, რომელსაც ისინი თვითონ ქმნიან;
- შეძლონ არსებულ მასალაში მიკერძოებისა და სტერეოტიპების გამოვლენა და შესაბამისად შეარჩიონ რესურსები;
- მაშინაც კი, როცა მასწავლებლებს არ აქვთ თავისუფლება მასალის (მაგალითად, სახელმძღვანელოს) შერჩევაში, მათ შეუძლიათ თავი აარიდონ განსაკუთრებულად პრობლემური ფრაგმენტების (ტექსტების თუ ამოცანების) გამოყენებას, ან სცადონ მათი პოტენციური ვნების განეიტრალება სათანადო კომენტარებით და განმარტებებით, თვითონ მოსწავლეები წაახალისონ, გაარჩიონ და გააკრიტიკონ ასეთი პრობლემური ფრაგმენტები.

ტიპური პრობლემები სასწავლო მასალებში:

- **სხვადასხვა ჯგუფის სტერეოტიპული წარმოდგენა**

სტერეოტიპები სასწავლო მასალებში:

მოქმედებები:
- მამა ტელევიზორს უყურებს ან გაზეთს კითხულობს, დედა კი სადილს ამზადებს;
- ბიჭები ბურთით თამაშობენ, გოგონები კი - თოჯინებით;
- საკლასო ოთახის მოწესრიგებისას ბიჭები ავეჯს გადაადგილებენ, გოგონები კი ასუფთავებენ;
- მამაკაცი იხდის ანგარიშს რესტორანში;
- ეროვნული ან რელიგიური უმცირეობების წარმომადგენლები სპეციფიკურ სამოსს ან აქსესუარებს ატარებენ, ხოლო დომინანტური ჯგუფების წარმომადგენლები ჩვეულებრივ არიან ჩაცმულები;
- ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილები შეცდომებით ლაპარაკობენ ქართულად;

საქმიანობა:
- კაცი ექიმი და ქალი ექთანი;
- კაცი მეცნიერი და ქალი მასწავლებელი;
- ეროვნული უმცირესობები სტერეოტიპულ „ხელოსნების“ როლებში.

თვისებები:

- ბიჭი ცუდად იქცევა საკლასო ოთახში, ხოლო გოგონა წარმოდგენილია, როგორც ზრდილობიანი და მოწესრიგებული;
- კაცები უფრო აქტიურ და მოქმედ როლებში, ხოლო ქალები პასიურ და დამხმარე როლებში;
- გოგონები იპრანჭებიან და სარკეში იყურებიან, ბიჭები კი უფრო დაუდევრად ჩაცმულები არიან;
- შეზღუდული შესაძლებლობები მქონე ადამიანები უმწეოდ და პასიურად არიან წარმოდგენილები;

ადგილები:

- ბიჭები ეზოში და ქუჩაში, გოგონები - სახლში და დახურულ სივრცეებში;
- ბიჭები მოგზაურობისას, გოგონები სტატიკურ სიტუაციებში;
- კაცები საჯარო სივრცეებში, ქალები - შინ და ოჯახურ სიტუაციებში;
- შეზღუდული შესაძლებლობები მქონე ადამიანები დახურულ სივრცეებში.

- **სეგრეგაცია, ფრაგმენტირაცია და იზოლაცია**

სეგრეგაცია სასწავლო მასალებში:

- სჭარბობს სიტუაციები, სადაც მხოლოდ ბიჭები ან მხოლოდ გოგონები არიან: მხოლოდ გოგონების სახელები სიტუაციაში, სადაც მოსწავლეები გამოცდისთვის ემზადებიან, ან მხოლოდ ბიჭების სახელები, ვთქვათ, სირბილში შეჯიბრის სიტუაციებში;

- სეგრეგაციის შემთხვევები, როგორც წესი, სტერეოტიპული როლების შემთხვევებთანაა შერწყმული: მხოლოდ ქალის სახელები ან სურათები გამოიყენება სტერეოტიპურად „ქალური“ აქტივობების შემცველ სიტუაციებში, ხოლო კაცების სახელები გამოიყენება სტერეოტიპულად „მამაკაცურ“, ისევე, როგორც „ნეიტრალურ“ სიტუაციებში;

- სეგრეგაცია ძალიან ხშირია მაშინაც, როცა სიტუაცია ან საქმიანობა „ნეიტრალურია“: მაგალითად, მათემატიკის ამოცანაში, რომლის სიუჟეტია რამდენიმე მეგობრის მიერ დასასვენებელი ადგილის შერჩევა, ხშირად მხოლოდ კაცები (უფრო ხშირად) ან მხოლოდ ქალები მონაწილეობენ;

- იშვიათია სიტუაციები, სადაც სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები ერთად მონაწილეობენ: მაგალითად, თუ სიტუაცია შეიცავს უმცირესობის წარმომადგენელ პერსონაჟებს, ის ჩვეულებრივ არ შეიცავს დომინანტური ჯგუფის წარმომადგენლებს.

- **უხილავობა, დაუბალანსებლობა და შერჩევითობა სხვადასხვა სქესის, უმცირესობების, სოფლის მკვიდრთა წარმოდგენაში**

მიკერძოება სასწავლო მასალებში:

- **რაოდენობა**: კაცები, როგორც წესი, უფრო ხშირად ფიგურირებენ, ვიდრე ქალები;

- **მნიშვნელობა**: დომინატური ჯგუფის წარმომადგენელი კაცები, როგორც წესი, უფრო ცენტრალურ როლებში არიან და უფრო ხშირად მოიხსენებიან სახელით, ხოლო ქალები და გოგონები დამხმარე როლებში არიან და ხშირად სახელის გარეშე ფიგურირებენ;

- სიტუაციებში, რომლებშიც მონაწილეობენ ქალებიც და კაცებიც, კაცებს/ბიჭებს ჩვეულებრივ უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, არიან ქალებზე/გოგონებზე უფროსები, იმარჯვებენ სხვადასხვა შეჯიბრში, უკეთესი ნიშნები აქვთ, ვიდრე გოგონებს;

- ხშირია სიტუაციები, რომლებიც მხოლოდ ეროვნული უმცირესობისთვის ტიპურ სახელებს შეიცავს.

- ხშირია სიტუაციები, რომლებიც ქალაქის მცხოვრებთა ტიპურ საქმიანობებს წარმოადგენს;

- ხშირია სიტუაციები, რომლებიც მხოლდო დომინანტური ჯგუფების გამოცდილებებს წარმოადგენს;

- ტექსტები და სურათები არ წარმოადგენს საზოგადოების რეალურ მრავალფეროვნებას და მხოლოდ დომინანტურ ჯგუფებს ასახავს.

- **პრობლემა: „რეალიზმი“ სიფრთხილეს მოითხოვს**

საზოგადად რეკომენდებულია, რომ სასწავლო მასალების შინაარსი რეალისტური იყოს იმ სოციალურ და კულტურულ კონტექსტებთან მიმართებაში, რომლებშიც ისინი გამოიყენება. თუმცა ეს რეკომენდაცია სიფრთხილით უნდა მივიღოთ, რადგან მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება შეიძლება სტერეოტიპებისა და მიკერძოების გაძლიერებას უწყობდეს ხელს:

- თვითონ რეალობაა არათანასწორი - მართალია, ის არასოდეს არ შეესაბამება სტერეოტიპებს ზუსტად, ზოგად კონტურებში ის ხშირად თანხმობაშია მათთან:
  - რეალობაა, რომ ქალები ასრულებენ საოჯახო საქმის უდიდეს ნაწილს, თუმცა არსებობენ კაცებიც, რომლებიც მონაწილეობენ ასეთ საქმეებში;
  - რეალობაა, რომ უფრო მეტ ოჯახში „მარჩენალი“ კაცია, თუმცა, სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, ბევრ ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა ქალის (ან ქალების) პასუხისმგებლობაა;
  - რეალობაა, რომ უფრო მეტი ბიჭი ირჩევს პროფესიად ფიზიკოსობას ან საინჟინრო საქმეს, თუმცა, სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, ბევრი წარმატებული ქალიც არის ამ დარგებში.

- სტერეოტიპები ძალიან მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ ვხედავთ რეალობას:
  - ზოგიერთი სტერეოტიპი პირდაპირ ეწინააღმდეგება რეალობას (გავიხსენოთ რწმენა, რომ გოგონებს ნაკლებად ეხერხებათ მათემატიკის სწავლა, ვიდრე ბიჭებს), მაგრამ ეს რეალური ფაქტები ფაროდ ცნობილი არ არის და იმის საყოველთაო წარმოდგენას, თუ რა არის რეალობა, განსაზღვრავს სტერეოტიპები. ასე რომ, ბევრ შემთხვევაში „უფრო რეალისტურად“ შეიძლება გვეჩვენებოდეს ის შინაარსი, რომელიც სულაც არ შეესაბამება რეალობას.

მაგალითი: რეალიზმი
რაოდენობრივი მსჯელობის შესამოწმებელ ტესტში ერთ-ერთი ამოცანის სიუჟეტი

რომელიღაც ორგანიზაციის თანამშრომელთა სქესისა და ასაკის მიხედვით შედარებას ემყარებოდა. ამოცანის სწორი ამოხსნის თანახმად გამოდიოდა, რომ კაცი თანამშრომლების საშუალო ასაკი ქალი თანამშრომლების საშუალო ასაკზე 10 წლით მეტი იყო. ერთ-ერთმა რეცენზენტმა გამოთქვა კრიტიკა, რომ ეს შინაარსი გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობდა ხელს. საპასუხოდ ტექსტის ავტორებმა უბრალოდ გადაანაცვლეს სიუჟეტში სქესები (ისე, რომ ქალების საშუალო ასაკი გამოვიდა 10 წლით მეტი). შემდეგ სხვა რეცენზენტმა წაიკითხა ტესტი და ამ ამოცანაში სქესების შებრუნება ურჩია ავტორებს: მისი კრიტიკა იყო, რომ ამოცანის შინაარსი ძალიან ***არარეალისტურად*** *ჟღერდა.*

- *რომელი რეცენზენტი იყო მართალი?*
- *რა იქნებოდა ტესტის ავტორებისთვის საუკეთესო გამოსავალი?*

რჩევები:

- **არ გაიმეოროთ სტერეოტიპები!**
- **თავი აარიდეთ სეგრეგაციას!**
- **თავი აარიდეთ მიკერძოებას!**
- **წარმოადგინეთ ადამიანები არასტერეოტიპული საქმიანობებით, პროფესიებით ან თვისებებით!**
- **წარმოადგინეთ სიტუაციები, რომლებიც ბევრი სხვადასხვა ჯგუფისთვის დამახასიათებელ სახელებს შეიცავს!**
- **წარმოადგინეთ სიტუაციები რომლებშიც ურთიერთობაში შედიან სხვადასხვა ჯგუფის (გოგონები და ბიჭები, ეროვნული უმცირესობა და უმრავლესობა, შეზღუდული უნარების მქონე ადამიანი ჩვეულებრივ სიტუაციაში და სხვ.) წარმომადგენლები!**
- **გააკონტროლეთ დომინანტური ჯგუფების ტიპური წარმომადგენლების გამოჩენის სიხშირე!**
- **წარმოადგინეთ სიტუაციები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფის გამოცდილებებს ასახავს!**
- **ფრთხილად გამოიყენეთ რეალიზმი!**

გაკვეთილი

მასწავლებლების ქცევა გაკვეთილზე მრავალი სახით შეიძლება იყოს მიკერძოებული და არახელსაყრელ პირობებში აყენებდეს სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეებს, თუნდაც თვითონ მასწავლებელი ვერ აცნობიერებდეს საკუთარი ქცევების მოტივებს თუ შედეგებს. იმისთვის, რომ მასწავლებლებს ვუბიძგოთ იქითკენ, რომ საკუთარ ქცევებსა და დამოკიდებულებებში შესაძლო მიკერძოება და სტერეოტიპები ამოიცნონ, მათი ტრენინგების მოდულები შეიძლება შეიცავდეს შემდეგი ტიპის აქტივობებს და სავარჯიშოებს:

- დაკვირვებები საკლასო ოთახში მასწავლებლების ქცევაზე და მეტყველებაზე (შეიძლება ჩანაწერებზე);
- მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახში საკუთარი ქცევების ვიდეოჩანაწერების გენდერული ანალიზი;
- მასწავლებლებისთვის ვიდეოჩანაწერები ჩვენება, რომლებშიც ჩანს მიკერძოებისა და სტერეოტიპების შემცველი ფაქიზი მესიჯები, მასწავლებლების მიერ ასეთი ვიდეოჩანაწერების

ანალიზი და კოდირება, რაც ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების გაზრდას ამ ფაქიზი მესიჯების შესახებ;

- მასწავლებლების მიერ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება უთანასწორობის სხვადასხვა ფორმისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახში სხვადასხვა სიტუაციის ან სასწავლო მასალების განხილვა და ანალიზი;
- შერჩეული სასწავლო მასალების ანალიზი გენდერული თუ სხვა ტიპის სტერეოტიპების აღმოსაჩენად.

მასწავლებლების ქცევაში შესაძლო მიკერძოებების მაგალითები:

- *უფრო ხშირად მიმართავენ ბიჭებს;*
- *გოგონებს დასრულებამდე აწყვეტინებენ პასუხს;*
- *უფრო დიდ ხანს აცლიან ბიჭებს პასუხის მოფიქრებას;*
- *იმახსოვრებენ და იყენებენ ბიჭების სახელებს გოგონებისაზე მეტად;*
- *ბიჭებს მეტად უსვამენ შეკითხვებს, რომლებიც უფრო „მაღალი დონის“ კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს, ხოლო გოგოგნებს - შეკითხვებს, რომლებიც უფრო ფაქტების გადმოცემას მოითხოვს;*
- *გოგონებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და ეს ყურადღება ხშირად ნეგატიური და წინააღმდეგობრივია;*
- *გოგონების მიერ შესრულებულ დავალებას აკრიტიკებენ შინაარსის თვალსაზრისით, და აქებენ სისუფთავის, მოწესრიგებულობისა და დროულობისთვის;*
- *ბიჭების მიერ შესრულებულ დავალებაში კი უფრო ხშირად აქებენ შინაარსს, მიხვედრილობას, ხოლო აკრიტიკებენ ნაშრომის გარეგნულ მხარეს;*
- *უშვებენ, რომ დომინანტური ჯგუფების გამოცდილება საკლასო ოთახში ყველასთვის ნაცნობია;*
- *არ აღიარებენ თავიანთი სტუდენტების მრავალფეროვნებას.*

ადაპტირებულია: UNESCO, 66, IREX და Kelly et al.

მაგალითი: განსახილველი სიტუაცია

მე-7 კლასის მათემატიკის მასწავლებელი მამაკაცია. მისი რწმენით, ბიჭებს უკეთესად გამოსდით ლოგიკური და მათემატიკური ამოცანების ამოხსნა, ვიდრე გოგონებს. ის თავის რწმენას ამართლებს საკუთარ გამოცდილებაზე მითითებით: ბავშვობაში ის მათემატიკაში თავის დებსაც სჯობნიდა და თანაკლასელ გოგონებსაც. თავის გაკვეთილებზე ამოცანების კეთებისას ის ყოველთვის უხსნის ბიჭებს, თუ როგორ უნდა ამოიხსნას ამოცანა, ხოლო გოგონებს თვითონ უხსნის ამოცანებს.

- *არსებობს მონაცემები, რომლებიც გაამართლებდა ამ მასწავლებლის წარმოდგენებს გოგონებისა და ბიჭების უნარების განსხვავების შესახებ*
- *რამდენად ეთანხმება ამ მასწავლებლის ქცევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ბაზისურ პრინციპებს?*
- *როგორ ზემოქმედებს მასწავლბლის წინასწარი წარმოდგენები სტუდენტების უნარების შესახებ სწავლა-სწავლების პროცესზე?*

ადაპტირებული: UNESCO, 68, და Kelly et al.

რათა მასწავლებლებს ვასწავლოთ გაკვეთილზე თანასწორი გარემოს შექმნის ატიური სტრატეგიები, ტრენინგები შეიძლება შეიცავდეს კონკრეტულ სავარჯიშოებს, მაგალითად, შესაბამის საკითხებზე ბრეინსტორმინგს ან დამოუკიდებელ კვლევას.

მაგალითები: შეკითხვები ტრენინგის ფარგლებში დისკუსიითვის ან დამოუკიდებელი კვლევისთვის:

- *როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლეების თანაბარი მონაწილეობა გაკვეთილზე?*
- *როგორ ვაკონტროლოთ მოსწავლეების ურთიერთობა ერთმანეთთან?*
- *რა არსებითი თავისებურებები აქვს სწავლა-სწავლების ინკლუზიურ გარემოს?*
- *რა მეთოდები და პედაგოგიური ტექნიკები უწყობს ხელს ინკლუზიურ სწავლებას?*
- *როგორ შეიძლება მასწავლებელმა გააუვნებელყოს სახელმძღვანელოებში არსებული მიკერძოება და სტერეოტიპები?*
- *მასწავლებლის სტუდენტებთან დამოკიდებულებისა და მოპყრობის რომელი არსებითი მხარეები უწყობს ხელს სწავლების ინკლუზიურობას?*

ადაპტირებული: UNESCO, IREX

სასკოლო გარემო და სტრატეგიები დირექტორებისთვის

სკოლის დირექტორებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ იმაში, რომ სკოლის ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყოფილი იყოს თანასწორ და სამართლიანი სასწავლო გარემო. მათ უნდა ჰქონდეთ რესურსები, უნარები და ცოდნა, რათა:

- განახორციელონ სასკოლო პროცესების მონიტორინგი და შეძლონ სასკოლო გარემოშ, სწავლების პრაქტიკაში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობებში, თვითონ მოსწავლეებს შორის ურთიერთობებში არსებული პრობლემებისა და ხარვეზების იდნტიფიცირება (მაგალითად, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მასწავლებელთა სწავლების პრაქტიკაზე დაკვირვების და ა. შ. გზით);
- რჩევებითა და მითითებებით დაეხმარონ მასწავლებლებს თავიანთი პრაქტიკის გაუმჯობესებასა და ინკლუზიურობის გაზრდაში;
- შექმნან სათანადო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ექნებათ შესაძლებლობა, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის გარანტიით გამოავლინონ და გააპროტესტონ დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის შემთხვევები; შექმნან ამ სახის დარღვევებზე რეაგირების პროცედურა;
- განავითარონ კარიერული განვითარების საკითხებზე მოსწავლეების კონსულტირების სისტემა;
- განავითარონ სწავლაში სიძნელეების მქონე სტუდენტების ადრეულ ეტაპზევე იდენტიფიცირებისა და დახმარების სიტემა;
- უზრუნველყონ ადეკვატური ფიზიკური გარემო და მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა თავიანთი მოსწავლეების სპეციალური საჭიროებების შესაბამისად.